

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო
უნივერსიტეტი



დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი № 5, 22 ივლისი 2014 წელი

რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

გულქან ქმოსტელი

შეთანხმულია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

სამსახურის უფროსი:

მარიამ დარბაიძე

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბანკო საქმეში.

რუსთავი 2011 წელი.

მიმართულება:	ბიზნესის ადმინისტრირება 02
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	საბანკო საქმე -020401
პროგრამის ხელმძღვანელი:	სრული პროფესორი ნანა ზაზაძე - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური:	მაგისტრატურა (IIსაფეხური)
პროგრამის ტიპი:	აკადემიური

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:	საბანკო საქმის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული ენა
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	<p>კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 05 იანვრის №3 ბრძანებითა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. უნივერსიტეტში მოქმედებს თანამედროვე საკრედიტო სისტემა. კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია ევროპული სისტემა (ECTS):</p> <p>1 კრედიტი = 25 ასტრონომიული საათს.</p> <p>პროგრამის სტრუქტურა:</p> <p>სამაგისტრო პროგრამის მთლიანი მოცულობა -120 კრედიტი, მათ შორის:</p> <p>ძირითადი სპეციალობის სავალდებულო დისციპლინები: 90 კრედიტი;</p>

პროფესიული პრაქტიკა: ნკრედიტი;

სამაგისტრო ნაშრომი: 30 კრედიტი;

პროგრამის სავალდებულო კომპონენტს შეადგენს პროფესიული პრაქტიკა, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური კადრების ზედამხედველობით გამოიმუშავონ პროფესიული მუშაობის უნარ-ჩვევები. სამაგისტრო პროგრამის მე-8 სემესტრში სტუდენტი იცავს სამაგისტრო ნაშრომს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ✓ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში ;

სამაგისტრო პროგრამის მიზანი: სამაგისტრო პროგრამით „საბანკო საქმე“ სპეციალისტთა მომზადების აქტუალობა განაპირობა გლობალიზაციის პროცესის გამძაფრებამ. საქართველოს ეკონომიკაში რადიკალური ცვლილებების მიმდინარეობის ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბანკო სექტორში მიმდინარე პროცესებს. ამ სფეროში მიმდინარე ცვლილებები და ახალი, თანამედროვე ტიპის სისტემების ფორმირება მჭიდრო კავშირშია სხვა სახელმწიფოების შესაბამისი სამსახურების საქმიანობასთან. ასეთ ვითარებაში გადაამწყვეტი როლი ენიჭება საბანკო და სფეროსათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საკითხს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე სამაგისტრო პროგრამა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს აღნიშნული სპეციალობით მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ისეთი კვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებიც დაუფლებულნი იქნებიან საბანკო და საერთოდ ფულად-საკრედიტო სისტემის მართვის თანამედროვე თეორიებს და მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო ძირითად ასპექტებს, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ჭრილში.

აღნიშნული სპეციალობით მაგისტრების მომზადების ძირითადი მიზანია ფინანსური მეცნიერების კვლევის მეთოდებისა და პრაქტიკული ჩვევების საფუძვლიანი დაუფლება; საბანკო საქმიანობის სფეროში მოსალოდნელი პრობლემების პროგნოზირება, პრობლემის დასმა, მისი გადაწყვეტის მეცნიერული გზების ძიება და პრაქტიკული

გადაწყვეტა; შრომის მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება;

სამაგისტრო პროგრამის	სწავლის შედეგები:
	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>აქვს საბანკო სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხების, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ უახლეს ცოდნას და პროფესიულ პრაქტიკას მაგისტრატურის საბანკო საქმის სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლის შედეგად კურსდამთავრებულები აითვისებენ ამ სფეროში არსებულ უახლეს თეორიულ ცოდნასა და კვლევის უნარ-ჩვევებს „კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქვეყნის ფინანსური სისტემას, მისი ფუნქციონირების მექანიზმებს და სახელმწიფოებრივი რეგულირებას; ფინანსური მენეჯმენტს; • ფინანსური ბაზრებს, მათი ფუნქციონირების მექანიზმს და სახელმწიფოებრივ რეგულირებას; • ფინანსური რისკების მენეჯმენტს; • ქვეყნის ეროვნული ბანკს და მისი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას; • კომერციული ბანკების ლიკვიდობა და რისკებს; • საბანკო მენეჯმენტს და მარკეტინგს; • მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებით ეძლევა შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საბანკო და საფინანსო პოლიტიკის გასატარებელი ღონისძიებების შემუშავებაში
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება;</p> <p>კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.</p> <p>ფინანსური დოკუმენტების ინტერპრეტაცია, ფინანსური ინფორმაციის თავმოყრა, ანალიზი, ანგარიშების მომზადება და წარდგენა; ბიუჯეტის მომზადება და სხვა;</p>

- საბანკო საქმიანობის ეფექტიანი სისტემის შემუშავება, რომლებშიც მაქსიმალურად გაითვალისწინება ბაზრის კონიუქტურა;
- მოკლევადიანი და გრძელვადიანი საფინანსო გადაწყვეტილებების მიღება და საბაზრო რისკების შეფასება; რისკების მართვის უნარი დაზღვევის ეფექტიანი მექანიზმის გამოყენებით;

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს ექნება უნარი კრიტიკული თვალსაზრისით შეაფასოს გადასაწყვეტი წინააღმდეგობრივი ამოცანა, შეუსაბამოს მას ესა თუ ის თეორიული კონცეფცია, მოახდინოს პრობლემის აბსტრაგირება, მოიძიოს საჭირო დარგობრივი სტატისტიკური ინფორმაცია, კვლევის უახლესი მეთოდებით განახორციელოს მისი ანალიზი და ამ საფუძველზე გამოიტანოს ინოვაციური სინთეზური დასკვნები.

- მიღებული შემოქმედებითი თეორიული ცოდნა საკმარისი იქნება იმისათვის, რომ კურსდამთავრებული არასრული და შეზღუდული ინფორმაციის პირობებში საფუძვლიანად გაერკვეს წარმოშობილი პრობლემის არსში, ჩამოაყალიბოს საკუთარი დასაბუთებული დასკვნები, დამოუკიდებლად მიიღოს საჭირო გადაწყვეტილება და დასახოს ამ პრობლემის უზრუნველყოფის ოპტიმალური გზები.
- კურსდამთავრებული შეძლებს დამოუკიდებლად დაგეგმოს და საჭიროების შემთხვევაში უხელმძღვანელოს რთული საბანკო სამუშაოს შესრულებას, შეიმუშაოს შესაბამისი პროექტი, დასახოს პრიორიტეტული მიზნები, მოახდინოს პროცესების სავარაუდო განვითარების პროგნოზირება და უზრუნველყოს დასახული გეგმის შესრულება მინიმალური დანახარჯებით.

კომუნიკაციის უნარი

კომუნიკაციის უნარი - თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს სწავლა, სწავლების შემდგომ საფეხურზე.

ღირებულებები

კურსდამთავრებული აფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ღირებულებებისადმი და წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში .

სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა)

სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება;
- სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
- პრაქტიკული მეცადინეობას;
- დამოუკიდებელი მეცადინეობას;
- პროფესიულ პრაქტიკას;

გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას;

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად. სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ ან/და ლაბორატორიულ მეცადინეობას; დამოუკიდებელ მეცადინეობას, გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომზე (საბაკალავრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას, სასწავლო პრაქტიკას და სახის საქმიანობას საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მსმენელს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი - A (ფრიადი);
- მაქსიმალური შეფასების 81-90% - B (ძალიან კარგი);
- მაქსიმალური შეფასების 71-80% - C (კარგი);
- მაქსიმალური შეფასების 61-70% - D (დამაკმაყოფილებელი);
- მაქსიმალური შეფასების 51-60% - E (საკმარისი).

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

- მაქსიმალური შეფასების 41-50% - FX (ვერ ჩააბარა);
- მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები - F (ჩაიჭრა).

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები დაკონკრეტებულია

სასწავლო კურსების სილაბუსებში.

შეფასების მეთოდი:

- ქვიზი
- შუალედური და დასკვნითი გამოცდა.
- ესეს მომზადება-პრეზენტაცია
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი

სწავლისა და სწავლების მეთოდები

სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პროფესორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. მაგ., ლექციაზე ლექტორი სალექციო მასალას ვიზუალური პრეზენტაციის სახით წარმოადგენს, რომელსაც თან ახლავს ვერბალური განმარტება; იმართება დისკუსია, სტუდენტს დამოუკიდებელი მუშაობის შესასრულებლად მიეცემა დავალება, რომელსაც იგი ასრულებს წიგნზე მუშაობის სახით, ჩანაწერის გაკეთების გზით და სხვ.

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: პრაქტიკა.

დისკუსია/ დებატები – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის

უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი,

სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა

მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული

იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).

- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

. **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **სასწავლო პროცესში ანალიზის** მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორცერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

• **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეულისაკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	კურსდამთავრებულს საშუალება აქვს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.
დასაქმების სფერო:	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გავლის მქონე კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში შესაბამისი კუთხით, კერძოდ, საფინანსო და საბანკო სისტემაში, აგრეთვე ნებისმიერი ბიზნესის მმართველობით ორგანოების დარგის შესაბამის დაწესებულებაში.
ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ.	მატერიალურ ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის შენობა, სადაც ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამი განხორციელებისათვის გამოყოფილია თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, კაბინეტ-ლაბორატორიები; განთავსებულია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერული ცენტრი, მდიდარი წიგნადი ფონდით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.
სასწავლო პროცესის ორგანიზაცია	<ul style="list-style-type: none"> ➤ <i>სწავლება მოიცავს 4 აკადემიურ წელს (8 სემესტრი), თითოეული აკადემიური წელი - 2 სემესტრს (40 სასწავლო კვირას).</i> ➤ <i>ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 20 სასწავლო კვირას.</i>

სემესტრში კვირები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 16 კვირა ეთმობა სალექციო –სააუდიტორიო მეცადინეობებს, მათ შორის მე-6 და მე-11 კვირას გათვალისწინებულია შუალედური გამოცდები, შუალედური შეფასების სხვა კომპონენტების ჩატარების პერიოდს სასწავლო კურსის განმახორციელებელი განსაზღვრავს სილაბუსში;
- დასკვნითი გამოცდა მე-17-18-ე კვირა.
- დამატებითი გამოცდა - მე-19 -20-ე კვირა.

კვირაში 17-20 ლექცია, ერთი ლექცია 60 წუთი.